



საქართველოს საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

შესამლო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელთა მიზანია მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმის ახლებურად დარეგულირება.

შემოთავაზებული ცვლილებები ეფუძნება ესტონურ მოდელს და მიზნად ისახავს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, ბიზნესის წარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას და ასევე, გადასახადების ადმინისტრირების სრულყოფას. ახალი მოდელის თანახმად, კომპანიებს, რომლებიც გაუნაწილებელ მოგებას არ გაიტანენ დივიდენდის სახით და მოახდენენ ბიზნესში რეინვესტირებას, ასეთ თანხაზე არ დაეკისრებათ მოგების გადასახადი.

კერძოდ, ცვლილებების ამოქმედების შემთხვევაში მოგების გადასახადის მიზნებისთვის დასაბეგრი ბაზა იქნება:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

თარიღი თებერვალი 2016

ამ თვის გამოცემაში შეგიძლიათ იხილოთ:

შესამლო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

მნიშვნელოვანი ცვლილებები კანონში მეწარმეთა შესახებ

შესამლო ცვლილებები „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში

ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრის შექმნასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები

შესამლო ცვლილებები „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში

მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

მნიშვნელოვანი ცვლილებები კანონში მეწარმეთა შესახებ

2016 წლის 29 თებერვალს მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში, რომელთა მიზანია მცირე აქციონერთა (აქციათა 5%-მდე მფლობელი აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის) უფლებების უფრო მეტად დაცვა, საწარმოს მმართველობის კონტროლის გაუმჯობესება და გამჭვირვალობის გაზრდა.

ცვლილებები შეეხება შემდეგ საკითხებს:

- დივიდენდის გაცემა მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 9 თვის განმავლობაში ისეთი ტიპის სააქციო საზოგადოებასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სადაც დადგენილია დივიდენდების შუალედური განაწილება;
- ნორმატიულად განისაზღვრა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, წილის მფლობელს აქვს თავისი წილის საზოგადოების განახლებული კაპიტალის პროპორციულად გაზრდის უფლება კაპიტალში შესაბამისი შენატანის განხორციელების გზით;
- განისაზღვრა, რომ აქციათა კლასით განსაზღვრული ხმის უფლების შეცვლა დაიშვება მხოლოდ იმ კლასის აქციების მფლობელთა 75%-ზე მეტის თანხმობის შემთხვევაში, რომელთა უფლებებზეც გავლენას ახდენს ამგვარი გადაწყვეტილება;
- თუ სააქციო საზოგადოება არის ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ბირჟაზე, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ერთი წევრი მაინც უნდა იყოს დამოუკიდებელი პირი, რომელსაც არ გააჩნია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება;
- ცვლილებით ასევე განისაზღვრა, რომ იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში იქმნება სამეთვალყურეო საბჭო, მისი თავმჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს ამავე საზოგადოების დირექტორი და სხვა.

შესაძლო ცვლილებები „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში

საქართველოს პარლამენტი განიხილავს ცვლილებებს კანონში „საჯარო რეესტრის შესახებ“, რომელთა მიზანია დაარეგულიროს ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების საქმიანობათა სახეების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები.

ცვლილებების თანახმად საჯარო რეესტრის ფარგლებში გაერთიანდება ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრი, რომელიც მოახდენს როგორც მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების, ასევე სხვა სუბიექტების ეკონომიკურ საქმიანობათა და მათი განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციას.

დადგინდება რეგისტრაციას დაქვემდებარებული მონაცემები, სავალდებულო და ნებაყოფლობითი რეგისტრაციის შემთხვევები, სარეგისტრაციო პროცესში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ჩართულობის, რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი მოქმედების ვადის საკითხები.

ცვლილებების თანახმად ნორმატიულად განისაზღვრება ეკონომიკური საქმიანობის ცნება, ხოლო მისი სახეები დადგინდება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ეროვნული კლასიფიკატორით. ამასთან, მოხდება ეკონომიკური საქმიანობის, მისი ცვლილებისა და შეწყვეტის შესახებ მონაცემის აღრიცხვა, ხოლო საჯარო რეესტრიდან ამონაწერს დაემატება ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან.

ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრის შექმნასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები

ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრის შექმნამ განაპირობა ცვლილებების შეტანის საჭიროება კანონში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“. ცვლილებების მიხედვით შეიქნება გარკვეული ზედამხედველობისა და მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც გააკონტროლებენ ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებებს.

ცვლილებები შეეხება აგრეთვე შემდეგ ნორმატიულ აქტებს:

- [სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი;](#)
- [„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი;](#)
- [„შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი;](#)
- [„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი;](#)
- [საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.](#)

შესაძლო ცვლილებები „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში

გარდა ზემოაღნიშნულისა, საჯარო რეესტრის შესახებ კანონში შედის ცვლილებები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს მოქალაქეებისათვის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება.

კანონპროექტის მიხედვით შესაძლებელი იქნება მართლზომიერი მფლობელის მიმართვის საფუძველზე ქონების მის საკუთრებაში რეგისტრაცია იმ უძრავ ნივთებზე, რომლებზეც საჯარო რეესტრში დაცული მონაცემებით არ დასტურდება სხვა პირის მართლზომიერი მფლობელობა. ასევე, ქონების მართლზომიერ მფლობელს პროექტით განესაზღვრა ხუთწლიანი ვადა, რათა მოახდინოს მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული უძრავი ნივთის უსასყიდლო რეგისტრაცია.

მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

2016 წლის 15 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამდგარი ზიანის ანაზღაურების შესახებ (საქმე №2/10224-15).

სადავო საკითხს წარმოადგენდა ის, თუ რამდენად ეკისრება სადაზღვევო კომპანიას იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც დადგა მეხანძრეების მიერ წყლის ჩამოშვებით, მაშინ, როდესაც დაზღვევის ხელშეკრულებით შეთანხმებული იყო, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანი. ხანძარი თავის მხრივ ხელშეკრულებაში განმარტებული იყო როგორც „ღია ცეცხლი, რომელიც მოჰყვება წვას...“.

სასამართლო განმარტავს, რომ მიზეზობრივი კავშირის დადგენისას აუცილებელია გამოყენებულ იქნას „რომ არა“ ტესტი (conditio sine qua non). დამდგარი ზიანი, ნაწილობრივ, მართლაც გამოწვეული იყო წყლის ჩამოშვებით. თუმცა, თუკი მოვლენათა ერთობლიობიდან ამოვიღებთ

ხანძარს, აღმოჩნდება, რომ მეხანძრეების მიერ წყლის ჩამოშვებას ადგილი არ ექნებოდა რომ არა ხანძარი, რაც ხელშეკრულების მიხედვით დაზღვეული რისკი იყო. იგი როგორც ფიზიკური მოვლენა იყო უმთავრესი და შეუცვლელი მიზეზი დამდგარი ზიანისა და აქედან გამომდინარე, არსებობს მიზეზობრივი კავშირი ხანძარსა და ქონების დაზიანებას შორის.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის უფროსი
gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი სვანაძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gsvanadze@deloitte.ge

[Home](#) | [Security](#) | [Legal](#) | [Privacy](#)



ლ. ასათიანის ქ. 36ა
თბილისი, 0105 საქართველო

@ 2016 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას ("DTTL"), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც "Deloitte Global") კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, Deloitte Touche Tohmatsu Limited-ი, მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (რომელთა ერთობლიობა შეადგენს „დელოიტის ქსელს“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებენ პასუხისმგებლობას პროფესიონალური მომსახურების მიწოდებაზე. დელოიტის ქსელის არცერთი წევრი ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.